საგადახდო დავალება N1

"10" სექტემბერი 2015 წელი

რეფერენსი
3812222316

გადამხდელის დასახელება: შპს AGHABY GROUP

ანგარიში (დებეტი): GE21BG0000000898651500 (ძველი ანგ.)

თანხა: 3000-00

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი: BAGAGE22

თანხა სიტყვებით: სამი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება: შპს AGHABY GROUP

საიდენტ. კოდი: 404439372

მიმღების დასახელება: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი): 300773263

მიმღების ბანკი:
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

გადახდის დანიშნულება: ჯარიმა(დადგენილება #000143 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე (07.09.2015))

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი

მთ. ბუღალტერი

ბ.ა.


ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 10.09.15

გატარებულია ბანკის მიერ: 10.09.15

ხელმოწერა

შტამპის ადგილი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/9576-15

"07" 09 2015 წ.

დადგენილება №000143
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

07.09.2015წ. ქ.თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსმა გეგი ნიჟარაძემ განვიხილე 2015 წლის 07 სექტემბრის №000143 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი **შ.პ.ს. "AGHABY GROUP"-ის** (საიდენტიფიკაციო კოდი №404439372, დირ. მოჰსენ მოურედ მატტა აბდელმალაკ, ეგვიპტე AO3254970, პირადი №01191002919, მის: ქ. თბილისი, არაგვისპირელის ქ. №1) მიმართ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ლისის საკრებულო, ნაკვეთ №7/9-ში შ.პ.ს. "AGHABY GROUP"-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №952574 AR1167495 06.11.2013წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: -3.20 ნიშნულზე „4-4" ღერძის გარეთ „ბ-ბ" ღერძზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი. „ა-ა" ღერძზე „1-2" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია 2 კოლონა. „1^1-1^1", „4-4" და „$გ^1$-$გ^1$" ღერძებზე გათხელებულია კედლები. +9.60 ნიშნულზე სახურავზე არ არის მოწყობილი საკომუნიკაციო შახტები და +13.60 ნიშნულზე საპროექტო პარაპეტი მოწყობილია +13.30 ნიშნულზე. „4-1" ფასადის მხარეს საპროექტო ტერიტორიის შემომსაზღვრელი კაპიტალური ღობის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მავთულბადე. „1-4" ფასადზე: -3.20 ნიშნულზე „2-2" ღერძთან კარის თავზე შესავსებია კაპიტალურად. +0.00 ნიშნულზე „1^1-1^1" ღერძზე შემცირებულია კედლის სიმაღლე 1მ-ით, „4-1" ფასადის მხარეს არ არის მოწყობილი მისი ნაწილი და აღნიშნული კედელი შესაღებია. +8.90 ნიშნულზე „1-2" და „3-4" მონკავეთებში არ არის მოწყობილი „დეკორატიული დასაკეცი საჩრდილობლები". +12.80 ნიშნულზე „2-3" მონაკვეთში გაუქმებულია საჩრდილობელი. „ა-გ" ფასადზე: ცოკოლზე შესალესი და შესაღებია კედლის ნაწილი. „ბ-გ" მონაკვეთში შემცირებულია მანძილი ფრამუგებს შორის 0.15მ-ით. +0.00 ნიშნულზე „ა-ბ" მონაკვეთში გაუქმებულია გარე კიბე და შევსებულია მოაჯირებს შორის ღია სივრცე. „ბ-$გ^1$" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი. +9.60 ნიშნულზე „ბ-ბ" ღერძთან ფრამუგის გარშემო შესაღებია კედლის ნაწილი, ხოლო „ა-ბ" მონაკვეთში სახურავის გარშემო გაუქმებულია დეკორატიული ლესვა (კარნიზი). „4-1" ფასადზე „3-2" მონაკვეთში გაზრდილია კიბის უჯრედის ვიტრაჟის სიმაღლე 1მ-ით. „4-4" და „1-1"

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ღერძებთან ფანჯრები და ვიტრაჟები არ არის მოწყობილი ერთ ხაზზე. „4-3” და „2-1” მონაკვეთებში კედლები არ არის შეღებილი ერთ ტონში. აივნებზე „1-1” და „2-2” ღერძებთან ვიტრაჟების ნაცვლად მოწყობილია ფანჯრები. +12.80 ნიშნულზე შეცვლილია პარაპეტის შუბლის ფორმა. „გ-ა” ფასადზე: +9.60 ნიშნულზე ფრამუგის გარშემო შესაღებია კედლის ნაწილი, ხოლო „ბ-ა” მონაკვეთში კარ-ფანჯრის გარშემო გაუქმებულია დეკორატიული ლესვა (კარნიზი). აღნიშნულ და „ა-გ” ფასადებზე შეცვლილია „ხის ფაქტურის ერთგვარი კონსტრუქციის” მასალა და ფაქტურა. შეცვლილია რელიეფის დონე და დახრა (რის გამოც მოუწესრიგებელია ფასადების კედლის ნაწილები). ფასადებზე შეცვლილია კარების, ფანჯრების და ვიტრაჟების უმრავლესობის ნახატი. ასევე შეცვლილია მოაჯირების ნახატი. მოწყობილია წყალშემკრები მილები. შეცვლილია და დასასრულებელია ტერიტორიის კეთილმოწყობა, ასევე გასატანია სამშენებლო მასალების ნარჩენები.

2015 წლის 07 სექტემბერს საქართველოს “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის “ზ” პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000143 “სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ.” საქმეშია, №07/15198926-16 17.07.2015წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. “AGHABY GROUP”-ის მიერ ჩადენილია საქართველოს “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის “ა” პუნქტის “ა.ბ.” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ლისის საკრებულო, ნაკვეთ №7/9-ში შ.პ.ს. “AGHABY GROUP”-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №952574 AR1167495 06.11.2013წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით ”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ”, საქართველოს “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის “ა” პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის “ა” პუნქტის “ა.ბ.” ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. “AGHABY GROUP” დაჯარიმდეს 3.000 (სამიათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. “AGHABY GROUP”-ს დაევალოს, საქართველოს “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "AGHABY GROUP"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსი გ. ნიჟარაძე



№000143 შემოწმების აქტის დანართი (დანართი ერთი ფურცელი)

-3.20 ნიშნულზე „4-4" ღერძის გარეთ „ბ-ბ" ღერძზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი. „ა-ა" ღერძზე „1-2" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია 2 კოლონა. „1^1-1^1", „4-4" და „$გ^1$-$გ^1$" ღერძებზე გათხელებულია კედლები. +9.60 ნიშნულზე სახურავზე არ არის მოწყობილი საკომუნიკაციო შახტები და +13.60 ნიშნულზე საპროექტო პარაპეტი მოწყობილია +13.30 ნიშნულზე. „4-1" ფასადის მხარეს საპროექტო ტერიტორიის შემომსაზღვრელი კაპიტალური ღობის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მავთულბადე.

„1-4" ფასადზე: -3.20 ნიშნულზე „2-2" ღერძთან კარის თავზე შესავსებია კაპიტალურად. +0.00 ნიშნულზე „1^1-1^1" ღერძზე შემცირებულია კედლის სიმაღლე 1 მ-ით, „4-1" ფასადის მხარეს არ არის მოწყობილი მისი ნაწილი და აღნიშნული კედელი შესაღებია. +8.90 ნიშნულზე „1-2" და „3-4" მონკავეთებში არ არის მოწყობილი „დეკორატიული დასაკეცი საჩრდილობლები". +12.80 ნიშნულზე „2-3" მონაკვეთში გაუქმებულია საჩრდილობელი.

„ა-გ" ფასადზე: ცოკოლზე შესალესი და შესაღებია კედლის ნაწილი. „ბ-გ" მონაკვეთში შემცირებულია მანძილი ფრამუგებს შორის 0.15 მ-ით. +0.00 ნიშნულზე „ა-ბ" მონაკვეთში გაუქმებულია გარე კიბე და შევსებულია მოაჯირებს შორის ღია სივრცე. „$გ$-$გ^1$" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი. +9.60 ნიშნულზე „ბ-ბ" ღერძთან ფრამუგის გარშემო შესაღებია კედლის ნაწილი, ხოლო „ა-ბ" მონაკვეთში კარ-ფანჯრის გარშემო გაუქმებულია დეკორატიული ლესვა (კარნიზი).

„4-1" ფასადზე: „3-2" მონაკვეთში გაზრდილია კიბის უჯრედის ვიტრაჟის სიმაღლე 1 მ-ით. „4-4" და „1-1" ღერძებთან ფანჯრები და ვიტრაჟები არ არის მოწყობილი ერთ ხაზზე. „4-3" და „2-1" მონაკვეთებში კედლები არ არის შეღებილი ერთ ტონში. აივნებზე „1-1" და „2-2" ღერძებთან ვიტრაჟების ნაცვლად მოწყობილია ფანჯრები. +12.80 ნიშნულზე შეცვლილია პარაპეტის შუბლის ფორმა.

„გ-ა" ფასადზე: +9.60 ნიშნულზე ფრამუგის გარშემო შესაღებია კედლის ნაწილი, ხოლო „ბ-ა" მონაკვეთში კარ-ფანჯრის გარშემო გაუქმებულია დეკორატიული ლესვა (კარნიზი). აღნიშნულ და „ა-გ" ფასადებზე შეცვლილია „ხის ფაქტურის ერთგვარი კონსტრუქციის" მასალა და ფაქტურა.

შეცვლილია რელიეფის დონე და დახრა (რის გამოც მოუწესრიგებელია ფასადების კედლის ნაწილები). ფასადებზე შეცვლილია კარების, ფანჯრების და ვიტრაჟების უმრავლესობის ნახატი. ასევე შეცვლილია მოაჯირების ნახატი. მოწყობილია წყალშემკრები მილები. შეცვლილია და დასასრულებელია ტერიტორიის კეთილმოწყობა, ასევე გასატანია სამშენებლო მასალების ნარჩენები.

მთავარი სპეციალისტი _____ /გ. ეთერია/

დანართი ჩაიბარა (სახელი, გვარი მიღების თარიღი, ხელმოწერა)

_____

_____